პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

ხუთშაბათი, 22 მაისი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი მეომარი

№ 504 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელს. 85.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც. ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## მოწოდება

## წითელ ჯარში გასაწვევ ახალგაზრდობისადმი.

### ძვირფასო ამხანაგებო!

წითელ ჯარის რიგებში მუშურ-გლეხურ ახალგაზრდების გაწვევა დაიწყო, გაწვევისათვის ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში სწარმოებს დაუღალავი მუშაობა.

ბურჟუაზიული კაპიტალისტური სახელმწიფოები გულის ფანცქალით შესცქერიან ამ საქმეს. საბჭოთა ხელისუფლების დამარცხება მორიგ გაწვევაში—აი მათი მიზანი. კარგათ იციან ჩვენმა მოსისხლე მტრებმა—ბურჟუა მემამულეებმა, რომ წითელი ჯარი უმთავრესი ძალაა, რომელსაც ეყრდნობა მუშებისა და გლეხების ბატონობა. მთელი წლების განმავლობაში ევროპის რეაქციონური ქვეყნები აწყობდნენ საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ შეიარაღებულ გამოსვლებს. იარაღით ხელში გამოყავდათ ყოფილი თავადი, კონტრ-რევოლიუციონური აფიცრობა და სხვა. ეს იყო გაშმაგებული ინტერვენციების დროს. მაგრამ სახელოვანმა ძლევამოსილმა წითელმა ჯარმა, მუშებისა და გლეხების სამხედრო ძალამ ღირსეული პასუხი გასცა პროლეტარული რევოლიუციის ჯალათებს, მოსპო და გაანადგურა ანტანტის ბურჟუაზიის დაქირავებული აგენტები—დენიკინ, კოლჩაკ ვრანგელები. ევროპისა და რუსეთის კაპიტალისტებს ახსოვთ ეს მწარე ამბავი, წითელი ჯარის სასტიკი გაკვეთილი.

ჩვენი შინაური მტრები ყოველგვარ ლონისძიებას, ხრიკებსა და საშუალებებს ხმარობენ ჯარში გაწვევის კამპანიის ჩასაშლელად. მაგრამ ამაოთ. გასულ წლების გაწვევებმა დაუმტკიცა მთელ ქვეყანას, რომ მშრომელ მასის ნორჩი ძალები, ახალგაზრდა მუშები და გლეხები დიდი ხალისით მიეშურებიან წითელ ჯარის მწკრივებისაკენ.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში შეგნებული მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა გაურბის სამხედრო მოვალეობას. ეს ხდება იმიტომ, რომ კაპიტალიზმის საზოგადოებში მთავრობისა და მშრომელი მასის ინტერესები ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ბურჟუაზია სცდილობს მშრომელი ჯარისკაცი საკუთარ მიზნებისათვის გამოიყენოს.

საბჭოთა რესპუბლიკებში მშრომელი ხალხის მხრით წითელ-არმიელებისადმი გულგრილობას არა აქვს ადგილი. რატომ ხდება ასე. იმიტომ, რომ საბჭოთა ქვეყნებში ხელისუფლებასა და მშრომელი მასის შორის არსებობს ინტერესთა სრული თანხმობა, მიზანთა ერთიანობა, საბჭოთა ხელისუფლება მუშებისა და გლეხების ხელისუფლებაა, ხოლო წითელი ჯარი—იგივე მუშების და გლეხების შეიარაღებული ძალაა.

მეფის და მენშევიკების მთავრობის აზრით ჯარი იყო ბრმა იარაღი, უზრალო საშუალება, „ზარბაზანის ხორცი“ გაბატონებულ კლასების ხელში. ჯარის კაცს სრულუფლებიან მოქალაქეთ არ სთვლიდნენ, კიდევ მეტი... ძაღლს უთანაბრებდნენ. მენშევიკებმა ჯარის მდგომარეობა უფრო გაამწვავეს, გააუარესეს. ჯარი „სახალხო გვარდიას“ დაუპირისპირეს. გვარდიელს ეცვა-ეხურა, ათასგვარი უფლებები ენიჭებოდა. ჯარი კი მოკლებული იყო ყოველივე ამას. მხოლოდ კომუნისტური პარტიის ენერგიული ზომებით ძირეულიანათ მოისპო ძველი მდგომარეობა. საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა მთლიანი ჯარი—წითელი არმია.

თანამედროვე წითელი არმიელი ძველი, მენშევიკური დროის ჯარის კაცი როდია. მან იცის რა გააკეთა, რას აკეთებს და რა უნდა გააკეთოს ახლო მომავალში. წითელი არმია შეგნებულ, კლასიური, მუშურ-გლეხური ინტერესებით გამსჭვალული სამხედრო ორგანიზაციაა. იგი ერთგული დარაჯია მშრომელი მასის პოლიტიკური ბატონობის, საბჭოთა წყობილების ციხე—სიმაგრის. წითელი არმია საბჭოთა მთავრობის, მუშებისა და გლეხების სიამაყეა.

წითელი ყაზარმა ნამდვილი სკოლაა, იქ იზრდება ახალგაზრდა არმიელი ფიზიკურად, ვითარდება გონებრივად, სპეტაკდება ზნეობრივად.

ახალგაზრდა ამხანაგებო, გახსოვდეთ ლენინის ანდერძი: **წითელი არმია მუშებისა და გლეხების შეიარაღებული კავშირია.** მოგიწოდებთ ამ კავშირის გაძლიერებასა და განმტკიცებისაკენ. საქართველოს წითელი ლაშქარი საერთაშორისო პროლეტარიატის ერთი პატარა რაზმია. მან უნდა გასწიოს ღირსეული ბრძოლა მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეში.

**გაუმარჯოს მსოფლიო კომუნისტურ რევოლიუციას!**

**გაუმარჯოს საქართველოს წითელ ჯარს.**

**ჩვენი სალამი წითელ არმიის რიგებისაკენ მიმავალ მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას.**

ს. კ. პ. ცეკას მდივანი: **კახიანი.**

ს. კ. პ. ცეკას სააგიტ. საპროპაგ. გან. გამგე: **ვლ. ბახტაძე.**

## ახალი ძალები წითელ ჯარის რიგებში.

25 მაისს დაიწყება 1902 წ. დაბადებულთა გაწვევა წითელ ჯარის რიგებში. ეს დიდ მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრებაში. ძველი, გამოცდილი, გაწვრთნილი მხედრები თავიანთ სახლ-კარს დაუბრუნდენ. ორი წლის განმავლობაში ისინი იძენდენ წითელ ყაზარმებში როგორც სამხედრო, ისე სხვა ყოველგვარ ცოდნას. დღეს იმათმა სოფლებს და ქალაქებს მიაშურეს. წითელმა ჯარმა გაუშვა ძველი მხედრები. ეხლა კი ახალ ძალებით ავსებს თავის რიგებს.

ახალგაზრდები, რომლებიც იქნებიან გაწვეული წითელ ჯარში, არ იცნობენ წითელ ჯარს, მის ყოფაცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს. ისინი მოწყდებიან თავიანთ კერას, ოჯახს და წითელი ჯარის რიგებს შეუერთდებიან.

დიდი და მეტად პასუხსაგები მუშაობა გვმართებს მათ აღსაზრდელად. ბევრი იქნებიან იმათში ისეთები, რომლებმაც წერა-კითხვა არ იციან, არ აქვთ ნათელი წარმოდგენა წითელი ჯარის დანიშნულებაზე. იმათმა იციან, რომ წითელი ჯარი მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ერთგული დარაჯია, მაგრამ იმათმა ისიც უნდა იცოდენ, რომ საბჭოთა კავშირის წითელი არმია საერთაშორისო პროლეტარიატის იმედია, რომ ის საერთაშორისო რევოლიუციის ერთ-ერთი უძლიერესი რაზმთაგანია.

ამასთან ერთად ახალწვეულებს უნდა განემარტოს დღევანდელი რთული საერთაშორისო მდგომარეობა. ბევრი ფიქრობს, რომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის შემდეგ, არ არის მოსალოდნელი შეიარაღებული ბრძოლა, რომ შეიძლება მშვიდობიან ცხოვრებას მოვკიდოთ ხელი, რომ წითელ არმიას არ ესაჭიროება დღეს დიდი ყურადღების მიქცევა და სხვა.

ასეთი შეხედულება ძირ-ფესვიანად შემცდარია. ახალ წვეულებს უნდა აუხსნათ არსებული მოგომარეობა და უთხრათ, რომ წითელი არმია კვლავ ჩვენი ყურადღების პირველ რიგში დგას. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ითქვას: წითელმა არმიამ გააკეთ თავისი საქმე, მას შეუძლია წავიდეს. არა წითელმა არმიამ გააკეთა უდიდესი და უძნელესი საქმე. მან იხსნა პროლეტარული რევოლიუცია. წითელ არმიას მომავალშიაც მოელის კიდევ უფრო მეტი თავგანწირული ბრძოლები. მომავალ გადამწყვეტ ომებში წითელ არმიას უძნელესი საქმე ხვდება წილად.

ახალგაზრდებმა ეს ყველაფერი უნდა იცოდენ. ისინი უნდა გახდენ ღირსეულ წითელ არმიის ღირსეული მეომრები.

ჩვენ გვჯერა, რომ არც ერთი მუშის და გლეხის შვილი არ დაიზარებს წითელ ჯარის რიგებში ჩადგომას. არც ერთი დეზერტირი არ აღმოჩნდება ახალწვეულებში.

ჩვენი კულტურულ-პოლიტიკურ ადმინისტრატიულ ორგანოების ნაყოფიერ მუშაობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

ქართული წითელი ჯარი, ელის ახალ სტუმრებს. გაუმარჯოს მათ!

---

## მოსულის კონფერენციის შესახებ.

სტამბოლში ამ დღეებში გაიხსნება ინგლის—ოსმალეთის კონფერენცია მოსულის საკითხის შესახებ.

მოსული დიდი ხანია მოსვენებას არ აძლევს ინგლისის იმპერიალიზმს. მოსულის საკითხი ოსმალეთსა და საფრანგეთ—ინგლისის შორის გამართულ ყველა კონფერენციებზე უდიდეს როლს თამაშობდა.

ლოზანის ორივე კონფერენციებზე წამოიჭრა მოსულის საკითხი. ოსმალეთი მოითხოვდა მოსულის ვილაეტის სრულ განთავისუფლებას და ოსმალეთის კუთვნილებათ გამოცხადებას. ინგლისი კი დიპლომატიურ ხერხს მიმართავდა და ცდილობდა მოსული მას დარჩენოდა.

როგორც ცნობილია მოსული მდიდარია ნავთით. სწორეთ ეს აძლევს მოსულს უდიდეს მნიშვნელობას. თავის ნავთის წყაროებით მოსული გახდა მსოფლიო მნიშვნელობის საკითხად. მოსულმა შეიძლება კონფლიქტი გამოიწვიოს იმპერიალისტურ სახელმწიფოებსა და ოსმალეთს შორის.

მოსულის საკითხი დაისვა ლოზანას კონფერენციაზე. მაგრამ ეს საკითხი მაშინ არ გადაიჭრა. ოსმალეთი და ინგლისი შეთანხმდენ ექვსი თვის შემდეგ მოეწვიათ განსაკუთრებული კონფერენცია მოსულის საკითხის განსახილველად. თუმც დანიშნულ დროს გადაცდა კონფერენციის მოწვევა, მაგრამ ის მაინც იქნა მოწვეული. სტამბოლში ჩამოვიდენ ოსმალეთის და ინგლისის დელეგაციები. კონფერენცია მუშაობას უთუოდ მალე შეუდგება.

მაგრამ ერთი რამ არის საინტერესო. მიუხედავათ იმისა, რომ მოსულს პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ოსმალეთისათვის, ოსმალეთის პრესა ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევს კონფერენციის მნიშვნელობას.

ოსმალეთის პრესის ასეთი უყურადღებობა მოსულის საკითხისადმი შეიძლება ავხსნათ იმ გარემოებით, რომ ოსმალეთს უკვე აქვს გარკვეული ხაზი მოსულის საკითხში და დღეს მაზედ ბევრის წერა უშედეგოა. მთავრობის ერთ-ერთი გაზეთი მოკლედ ეხება კონფერენციას, და აცხადებს, რომ ოსმალეთი არავითარ შემთხვევაში არ დასთმობს მოსულს; თუ ინგლისი მიიღებს ამ შემთხვევაში ოსმალეთის წინადადებებს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი ინგლისსა და ოსმალეთს შორის მშვიდობიანი დამოკიდებულების არსებობა.

ცხადია, რომ ოსმალეთის დელეგაცია დაიცავს ოსმალეთის უფლებებს მოსულზე. ძალიან საეჭვოა, რომ ინგლისმა დასთმოს მოსული. მოსალოდნელია მორიგი შეტაკება ოსმალეთის და ინგლისის დიპლომატებს შორის.

ოსმალეთი მოსულის საკითხში სრულიად მართალია. მოსულის ვილაიეტი მისი ტერიტორიის განუყრელი ნაწილია.

ინგლისს არავითარი უფლებები არ აქვს მოსულზე. ინგლისის იმპერიალიზმს მხოლოდ მოსულის ნავთი აინტერესებს და არა მისი მცხოვრებლები.

ოსმალეთის პოზიცია მოსულის საკითხში პროგრესიულია, მას ნაციონალურ განმათავისუფლებელი ხასიათი აქვს. ინგლისის იმპერიალისტები დამპყრობლებია.

საეჭვოა, რომ სტამბოლის კონფერენციამ გადაჭრას მოსულის საკითხი. მოსული კვლავ საერთაშორისო კონფლიქტების მიზეზად გახდება.

ს.

## პრესა

### რეაქციის ბურჯი.

ყველასათვის აშკარაა, რომ მოკლე ხანში პუანკარე, როგორც პოლიტიკური ფიგურა ჰორიზონტს მოსწყდება.

თუ რა როლს თამაშობდა ის ევროპის პოლიტიკაში ამას ვხედავთ იქიდან, თუ რა ცვლილება გამოიწვია მისმა დაცემამ მრავალ ევროპის სახელმწიფოთა საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. ადვილი შესაძლებელია მასთან ერთად „დასასვენებლად“ წავიდეს მილიერანი, რეაქციის არა ნაკლები ორნოვარი. ყოველ შემთხვევაში პუანკარე, როგორც განსაზღვრულ რეაქციონურ პოლიტიკის მებაირახტრე, ამოიწურა.

„პუანკარეს დაცემის შემდეგ ამბებმა დაადასტურეს, რომ პუანკარე **დედა-ბოძი იყო ევროპის რეაქციის.** სწერს „პრავდა“. ევროპის ყველა რეაქციონურმა პარტიებმა და მთავრობებმა, სადაც ამათ პარტიების ხელშია ძალა-უფლება, იგრძნეს, რომ მათ დაჰკარგეს თავისი იდეიური და ფაქტიური ხელმძღვანელი. თვით ინგლისის რეაქციონური წრეები, რომლებიც მოქმედობდენ თავის ქვეყანაში, ვითომ და დამოუკიდებლად, რომლებიც ხშირად წინააღმდეგობაში იყვნენ პუანკარესთან, ეს ჯგუფებიც შეწუხებულნი არიან პუანკარეს დაცემით და თავის მწუხარებას ვერ მალავენ. ეს მოვლენა

კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ არის ს ერთო კლასიური ინსტინქტი, რომელიც სახელმწიფოებრივ საზღვრების და ეთანხმოების ზევით, ამოდის, რომლებიც აერთიანებენ ცოტათ თუ ბევრათ ერთგვარად მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს და კლასებს გარეშე იმ ქვეყნებისა, სადაც ისინი მოქმედობდენ. ბურჟუაზიის ინტერნაციონალიზმი არა ნაკლებ ძლიერია პროლეტარულ ინტერნაციონალიზმზე და არა ნაკლებ უკანასკნელზე ხ ნგრძლივი.

**შავი ინტერნაციონალი** ისეთივე ფაქტია, როგორც ყვითელი და წითელი".

პუანკარეს დაცემამ ყველაზე ცუდათ იმოქმედა რუმინიის მმართველ წრეებზე. მათ მიყვებათ პოლონეთის რეაქცია. ვერც ჩეხო-სლოვაკიის მთავრობაა კარგ გუნებაზე. სამხრეთ-სლავიაში უკვე ლაპარაკია საბჭოთა კავშირის ცნობაზე.

შემდეგ ამისა „პრავდა" დასძენს: „ჩვენ შეგვიძლია კიდევ ჩამოვთვალოთ დაობლებულთა სიის წევრები, მაგრამ ეს ზედმეტია, ისედაც ცხადია, რომ პუანკარეს დაცემა, ეს არა მარტო საფრანგეთის რეაქციის დანაკლისია, არამედ მთელი ევროპის რეაქციისაც, რომლის მიჩნეული ხელმძღვანელი და მოციქული იყო პუანკარე".

# ᲠᲐᲓᲘᲝ-ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

— ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐ. ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲣᲚᲔᲑᲛᲐ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲩᲐᲘᲒᲓᲔᲡ ᲡᲙᲣᲢᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ

— ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲞᲘᲠᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲛᲦᲔᲚᲕᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ.

— ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲐᲠᲔᲣᲚᲝᲑᲐ. 8 000 ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲑᲠᲑᲝᲛ ᲒᲐᲟᲣᲚᲢᲐ ᲓᲐᲛᲡᲯᲔᲚᲘ ᲠᲐᲖᲛᲘ.

— ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ 13 ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲖᲔ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲔᲑᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

— ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲕᲚᲘᲡᲐ.

## ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

### ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ.

**დორიო გაანთავისუფლეს.**

„ჰუმანიტე" იტყობინება, რომ საფრანგეთის კომპარტიის წევრი დორიო, რომელიც იჯდა საპყრობილეში და რომელიც გაყვანილი იქნა დეპუტატთა პალატის წევრად გაანთავისუფლეს.

**მილიერანის წინაამდეგ.**

პარიზიდან მიღებულ ცნობებით, საფრანგეთის რესპუბლიკანურ-სოციალისტურმა პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც აცხადებს, რომ მონაწილეობას არ მიიღებს ისეთ მთავრობაში, რომელიც არ მოითხოვს მილიერანის დაუყონებლივ გადადგომას.

**ერრიოს განცხადება.**

საფრანგეთის რადიკალების ლიდერ ერიომ „მატენში" განაცხადა, რომ საფრანგეთის სამხედრო-ფინანსიური ბრუნვა შემცირდება; როგორც კი საფრანგეთი უზრუნველყოფილი იქნება საშიშ მდგომარეობიდან. გერმანიის შესახებ ერრიომ განაცხადა, რომ საფრანგეთს არ უსარგებლებია ომის შემდეგ გერმანიაში გამეფებული დემოკრატიული სულით. თუ გერმანიის დემოკრატიულ ელემენტებს შთანთქავენ ნაციონალისტები—ამაში საფრანგეთი იქნეს დანაშაული.

**მუსოლინის თათბირი ბელგიის მინისტრებთან.**

მუსოლინის თათბირის შედეგათ ტენისთან და გიმანსთან გამოქვეყნებული იქნა ცნობა, სადაც აღნიშნულია, რომ თათბირზე მინისტრებმა გამოსთქვეს აზრი რომ სარეპარაციო საკითხები წინანდელურად უნდა ჩაითვალოს პოლიტიკური გართულებისა და ფინანსიური კრიზისების მიზეზად.

**კომუნისტური გაზეთის რედაქტორის დაპატიმრება.**

შტუტგარდში დააპატიმრეს კომუნისტური გაზეთის „ზიუდეიჩე არბეიტერ-ცეიტუნგის" რედაქტორი ლემლე სახელმწიფო ღალატში ბრალდებისათვის.

**ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲐ.**

გაზ. „დეილი-მეილის" უკანასკნელ ნომერში გამოქვეყნებულია მთელი რიგი ფაქტებისა გერმანიის დღევანდელ სამხედრო მდგომარეობის შესახებ. გამოქვეყნებულ ფაქტებიდან სჩანს, რომ გერმანია სრულებითაც არ ფიქრობს შეასრულოს დადებული ვალდებულება მოკავშირეთა მიმართ განიარაღების შესახებ. პირიქით ის გვერდს უვლის ვერსალის ხელშეკრულების მთელი წყება მუხლებს იმკვევა, რომ გერმანიის სამხედრო შტაბი აღდგენილია და გერმანიის ჯარი აღემატება 100.000 კაცს, რის გადიდების უფლება მას არ აქვს ხელშეკრულების ძალით. გერმანიამ დაიწყო ახალ იარაღების და სამხედრო მასალების მზადება. გერმანიის ინჟინრები ცდიან ახლად გამოგონებულ მხრჩოლავ გაზის ტყვიის მფრქვევლებს და ტანკებს.

**ებრაელების დარბევა რუმინეთში.**

რუმინიიდან იუწყებიან, რომ სტუდენტებმა გააჩერეს მატარებელი და დაარბიეს მგზავრი ებრაელები.

**ინგლისის ბანკირების სესხი**

ინგლისის ბანკირების ერთი ჯგუფი ბჭობენ გერმანიის მთელი წყება ქალაქების სესხის მიცემის შესახებ.

## ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘᲡ ᲧᲝᲤᲐ-ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

საზოგადოებრივ ცხოვრებამ არ იცის შეჩერება. ის ყოველთვის იცვლება როდესაც ერთი საზოგადოებრივი ფორმა დასრულდება, შესწყვეტს განვითარებას, მას ცვლის ახალი საზოგადოებრივი ფორმა. ყოველ საზოგადოებას აქვს თავის შესაფერისი ყოფა-ცხოვრება, რომელიც გამოსახავს არსებულ საზოგადოებრივ ძალთა დამოკიდებულებას.

ნიკოლოზის დროს გაბატონებული მონარქია ქმნიდა ისეთ ყოფა ცხოვრებას, რომელიც შეესაბამებოდა არსებულ წესწყობილებას. საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაბატონებული იყო წოდებრივი დაყოფა. ეკონომიური ბატონობა ეკუთვნოდა თავად აზნაურობას და კაპიტალისტებს.

ოჯახში გაბატონებით იყო მამაკაცის ბატონობა და ოჯახის დაქვემდებარება.

ყველაფერზე ბატონობდა რელიგია, ცრუმორწმუნოება.

მღვდლები „წმინდა მამები" ყვლეფდენ გლეხ კაცებს. მუშა ხალხიც მოტყუებული მღვდლებით თავის საუკეთესო მოსავალს, საქონელს აწვდიდა ბერებს და მონაზვნებს, საკორთხის სახით. ამნაირად იბნეოდა სახალხო ქონება, ღარიბდებოდა ხალხი, და სუქდებოდა ოსაქმური სამღვდელოება.

მაშინდელ ჯარის კაცის მდგომარეობა ძაღლის მდგომარეობაზე უარესი იყო. ჯარის კაცი მიჩნეული იყო დაბალ წოდების გათანასწორებული ცხოველთან ეწეოდა მეტად მძიმე ცხოვრებას; ასწავლიდენ მეფისადმი ერთგულებას. და თუ საჭირო იქნებოდა ტყვიაც უნდა ესროლა თავის მოძმეთათვის.

რათა გადაერჩინა მეფე ხალხის გულის წყრომისაგან. და თუ არ აასრულებდა კატორღა, გადასახლება, დახვრეტა მოელოდა ჯარის კაცს.

მოხდა რევოლიუცია, იფეთქა ოქტომბერმა, ჯარის კაცის და მუშის საშვალებით დამყარდა საბჭოთა წესწყობილება.

საბოლოოდ გამოესალმენ თავის ფუფუნებას კაპიტალისტები და თავად აზნაურობა. მიწა დაურიგდა გლეხებს ფაბრიკა-ქარხნების პატრონი გახდა მუშა.

შეიცვალა თავად-აზნაურების ბატონობა მუშებზე და გლეხებზე მუშების და გლეხების მთავრობით. დაიწყო კომუნისტური ცხოვრების შენება. კომუნისტურმა ეკონომიკამ უნდა მოქვცეს ახალი ყოფა ცხოვრება.

რელიგია, ცრუმორწმუნეობა დაამარცხა მეცნიერებამ.

საბოლოოდ დაიმსხვრა ღმერთის კულტი.

უნდა დაიმსხვრეს საბოლოოდ რელიგიაზე აშენებული ქორწინება, დაბადება და დამარხვა. ყველაფერში უნდა გამეფდეს თავისუფალი მოქალაქე.

როდესაც ადარებ დღევანდელ წითელ არმიელს ძველ ჯარისკაცს გიხარია. თუ ძველი ჯარის კაცი დაბეჩავებული იყო, დღევანდელ წითელ არმიელს, აქვს თავისუფლება ბიბლიოთეკა სწავლობს პოლიტიკას, ლიტერატურას, მეცნიერებას ის გრძნობს, რომ იცავს იმ რესპუბლიკას სადაც თვითვეა ბატონი.

დღევანდელი წითელი არმია სკოლაა მიწის მუშისათვის, მშრომელთათვის, რომლიდანაც ის უბრუნდება თავის კერას ნასწავლ მოქალაქეთ.

**ილ. თ—ძე.**

**ექსპერტების მოხსენებ ს წინაღმდეგ.**

ბერლინში შესდგა სავაჭრო ასოსიაციის ჯგუფი, რომელიც მიზნად ისახავს ექსპერტთა მოხსენების წინააღმდეგ ბრძოლას.

**ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ.**

**აჯანყებულთა მოძრაობ ს ზრდა.**

პოლონეთიდან ჩამოსულ გამოქცეულების ცნობით, აჯანყებულთა მოძრაობა პოლონეთის განაპირა ქვეყნებში თანდათან ძლიერდება. განსაკუთრებით ძლიერ გაძლიერდა მიხალსკის რაზმის მოქმედება, რომელსაც ხშირად უხდება შეტაკება პოლონეთის ცხენოსან პოლიციასთან.

**ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ.**

**გლეხთა მღელვარება.**

გლეხთა მღელვარება რუმინეთში ძლიერდება. ქალაქ პიატრას რაიონში ბისტრიცაზე, გლეხებმა ხელთ იგდეს ყველა მსხვილ მემამულეთა მამულები. სამხედრო დამსჯელი რაზმი, რომელიც გაემართა აჯანყებული იქნა 8,000 გლეხთა ბრბოსაგან, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ ორთითებით და სხვა მსგავსი იარაღებით.

## ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ.

**Რ. Კ. Პ. ᲛᲔ-13-ᲛᲔ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ**

გერმანიის კომუნისტურ პარტიის გაფართოებულ კრებამ გაუგზავნა რ. ს. კ. (ბ.) კ. მომავალ მე-13 ყრილობას მისასალმებელი წერილი, რომელშიაც ნათქვამია; „გერმანიის მუშათა გულში თან და თან იზრდება სიყვარული რუსეთის რევოლიუც. და კომპარტიისადმი, რომელნიც ანხორ იელებენ რევოლიუციას. შტრეზემანის უმზგავსო პროვოკაცია და მისი დამქაში სოციალ-დემოკრატები მიუთითებენ გერმანიის პროლეტარიატს ახალ საფრთხეზე, რომელსაც უქადიან სსსრ. გერმანიის პროლეტარიატი წინ აღუდგება ასეთ ავანტიურას.

**6.900.000 კომპ რტიის წევრი.**

ცენტროკავშირის ცნობით კოოპერაციას ყავს ამ ჟამად 6 900.000 წევრი.

**განმარტება.**

გაურკვეველი შეკითხვები შედის იმის შესახებ, შეიძლება თუ არა უკან იმ ფულების მიღება, რომელიც შეტანილი იყო შესანახად ბანკებში თუ შემნახველ კასებში, ოქტომ. რევოლიუციამდე ამის გამო შინაგან საქმეთა კომისარიატი აცხადებს, რომ შუამდგომლობა და საჩივრები ასეთ ფულების მიღების განხილული არ იქნება.

**სახალხო ფულების გაფლანგვა.** რკიმ აღმოაჩინა კიევში ბევრი ბოროტებანი საბჭოთა დაწესებულებებში. ასე, მაგალითად, შაქრის ტრესტის სახლის შეკეთებისათვის და პასუხისმგებელ მომუშავეების ბინებში ავეჯეულობის შესაძენად დახარჯულია დიდძალი ფული. ასე რომ კიევის დაწესებულებების ხარჯების შემცირება შეიძლებოდა ერთი მილიონი მანეთით.

**ოქროს მადნები.**

კოლომოუმში აღმოაჩინეს მდიდარი ოქროს მადაროები.

**რუსეთის ბაქტერიოლოგიის ყრილობა**

ლენინგრადში გაიხსნა რუსეთის ბაქტერიოლოგების ყრილობა. ჩამოვიდა 600 დელეგატი. თავმჯდომარედ არჩეულია სემაშკო. როსტას თანამშრომელთან საუბარში მან განაცხადა, რომ პარტახტანი სახადი და ხოლერა ჩვენთვის საშიში არ არის, შავი ჭირის წინააღმდეგ მიღებულია ზომები. ყრილობამ მოისმინა მოხსენებები სახადთან, ხოლერასთან და მალარიასთან საბრძოლველ საშუალებებზე.

## ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲜᲘ.

**იაპონია ისწრაფვის ს. ს. ს. რ. კავშირის შესაკვრელად.**

როსტას კორესპონდენტთან საუბრის დროს გოტომ განაცხადა, რომ ს.ს.ს.რ. მოლაპარაკების განსაახებლად ერთი აზრი არსებობს. მთელს იაპონიაში არ არის ვინმე ისეთი, რომელიც მოლაპარაკების წინააღმდეგი იყოს. ამის წინააღმდეგ არც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კიიროია, მიუხედავად იმისა, რომ იმის წინააღმდეგ მთელი ოპოზიციაა შექმნილი.

**ოსმალეთ და ს. ს. ს. რ. ვაჭრული დამოკიდებულება.**

რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატაში გამოვიდა მოხსენებით სავაჭრო დელეგაციის თავმჯდომარე ოსმალეთში ამხ. ივანოვი, რომელმაც განაცხადა, რომ დიდის ყურადღებით ეკიდებიან ოსმალეთში ჩვენს ნავთს, რომელიც თავის ხარისხით და სიაფით გადააჭარბა ამერიკის ნავთს.

## ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ

**ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲔᲙᲚᲐᲠᲐᲪᲘᲐ.**

საფრანგეთის კომუნისტური პარტია ესალმება რეკაპეს 13-ყრილობას დეკლარაციით, სადაც აღნიშნულია, რომ საფრანგეთის კომუნისტური პარტია გაცხოველებული საარჩევნო ბრძოლის დროსაც კი გულმოდგინეთ ადევნებდა თვალყურს კომუნისტური პარტიის ყრილობის დღის წესრიგში დასმულ საკითხების გარშემო წარმოებულ დისკუსიას, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცეკა იწონებს რეკაპეს ცენტრალურ კომიტეტის ხაზს. საფრანგეთის კომპარტია ფიცსა სდებს ოცნავად არ გადიხარონ ლენინის ანდერძებიდან და მტკიცე გადაწყვეტილებით წავა წინ მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვებისაკენ.

გაუმარჯოს ლენინიზმს! გაუმარჯოს რუსეთის კომუნისტურ პარტიას! გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

**ინგლისელ გამომგონებლის ჩასვლა პარიზში.**

პარიზში ჩავიდა ახალი თვისების სხივების აღმომჩენი ინჟინერი მატიური. მისგან აღმოჩენილ სხივების თვისება ისეთია, რომ მათ მანძილზე შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მოძრავ მანქანაზე და უშვალოდ გააჩერონ ის. თავის მომავალ მუშაობას მატიური აწარმოებს ფრანგ გამომგონებელ რუასთან ერთად.

**სამშობლოს ღალატისათვის.**

ბელგიაში ბრიუტელის სასამართლოში დაიწყო მრეწველ კეპეს პროცესი, რომელსაც ბრალად ედება გერმანიის არმიისათვის ბენზინის მიწოდება მსოფლიო ომის დროს. ბელგიის მთავრობამ კაპს მოსთხოვა 55 მილიონი ფრანკი ომის დროს ბელგიაზე მიყენებულ ზარალის ასანაზღაურებლად. ფიქრობენ რომ აღნიშნული პროცესი ბევრ სახელმწიფო მოღვაწეს მოსცხებს ჩირქსო.

**აჯანყება ალბანეთში.**

ბელგრადიდან მიღებულ ცნობით ჩრდილოეთ ალბანიაში მოხდა აჯანყება. აჯანყებულებმა დაიკავეს ქ. სკუტარი და სხვა ქალაქები.

504




## მე-7-დე ქართ. გაერთიანებულ სამხედრო სკოლა.

### რა ვაკეთეთ სოფლად.

ჩვენი სკოლის კურსანტები პირველ მაისს გაემგზავრნენ თავ-თავიანთ სოფლებში, 15 დღის შვებულებაში. შვებულების გათავების შემდეგ ყველანი დაბრუნდენ და 15 მაისს უკვე ყველანი თავის ადგილზე იყვნენ. თუ როგორ უნდა ემუშავა და რა უნდა ეკეთებია კურსანტს სოფლად ამაზე ბევრი დაიწერა, როგორც პრესაში, ისე კედლის გაზეთში. ჩვენ წასვლის დროს თან გაგვატანეს ბევრი სხვა და სხვა წიგნები, პლაკატები, ლოზუნგები, ანკეტა, სადაც უნდა აღგვენიშნა სოფლის ყველა ნაკლი. უნდა დაგვეარსებია პატარა სამკითხველოები და ეს წიგნები მათთვის უნდა გადაგვეცა. კურსანტებმა დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულეს. პოლიტ მუშაკების მუშაობას კურსანტებთან არ ჩაუვლია უნაყოფოთ სკოლაში. კურსანტების, როგორც ღარიბესი გლეხის შვილებისას, სახლში დაბრუნების დროს უნდა გამოეღო ნაყოფი. ასეც მოხდა. კურსანტების ინიციატორობით ბევრ ადგილას გაიხსნა სამკითხველოები და კლუბები. აგრეთვე კურსანტები აკეთებდნენ სხვა და სხვა თემებზე მოხსენებებს, რაც გლეხებს აინტერესებდათ.

ამხ. კურსანტებმა ყველა კუთხეებიდან თან ჩამოიტანეს ცნობები თუ როგორ მუშაობს ადგილობრივი მთავრობა და ბევრი სხვა საინტერესო საკითხები.

18 მაისს ჩვენს სკოლაში მოხდა შვებულებიდან დაბრუნებულ კურსანტების შეკითხვები. კრებას ხსნის ამხ. ს. ბუაჩიძე და აცნობს კურსანტებს, თუ რა პირობებია და როგორ მიმდინარეობს სოფლებში მუშაობა და რით არიან უკმაყოფილონი გლეხობა.

ეკონომიური პირობები უკეთესია შედარებით გასულ წელთან. კოოპერაციაც თანდათან ძლიერდება და სხ.

მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივ ადმინისტრაცია, როგორც საჭიროა, ისე ვერ დგას თავის სიმაღლეზე, სადაც ბევრ გაუგებრობას აქვს ადგილი. წითელ არმიელებს არ აქცევენ სათანადო ყურადღებას. სოფლებში არ არიან ისეთი მომზადებული ამხანაგებიც, რომლებიც შესძლებენ ცხოვრებაში გაატარონ მთავრობის ყველა დადგენილებები და სხ.

ბევრი საინტერესო საკითხები გაირჩა. ყველა შეკითხვებზე ამხ. ს. ბუაჩიძემ დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა, რის შემდეგაც კრება დაიხურა.

უნდა ვთქვათ, რომ სოფლად კარგი პირობებია, ცხოვრება თან და თან უმჯობესდება. გლეხობა ერკვევა ვინაა მათი ინტერესების დამცველი და ვინ არა. ნაკლი ბევრია სოფლად. ეს კი უნდა მიეწეროს ადმინისტრაციის და ადგილობრივ ამხანაგების სისუსტეს და მოუმზადებლობას.

გლეხობა არ უნდა უყურებდეს ადმინისტრაციას, როგორც ძველი დროის მამასახლისს. ასეთ გაუგებრობას, რასაკვირველია, ბოლო უნდა მოეღოს და იმედია ამას უფრო სერიოზულ ყურადღებას მიაქცევენ.

ჩვენი სკოლის მთელ შემადგენლობას შეუძლია თამამად სთქვას, რომ მან მიაღწია იმ მიზნებს, რითაც ის უნდა იყოს აღჭურვილი, როგორც მომავალი წითელი მეთაური. ჩვენი სოფლად მუშაობა ერთხელ კიდევ ამტკიცებს, თუ ვინ არიან კურსანტები, ვის ინტერესებს იცავენ ისინი და ვინ იყო იუნკერი, რომელიც უკვე ისტორიის ჩაბარდა.

სამხედრო ა. ჭკადუა.

## ახალ წვეულების მოლოდინში.

სულ მოკლე ხანში ჩვენს წითელ ყაზარმებს შეავსებენ ახალ წვეულნი წითელ მოლაშქრენი-მუშისა და გლეხის შვილები. ცხადია საჭირო არის სათანადო მუშაობა მათი პოლიტიკური და მორალური დონეს ასამაღლებლად რაც უმთავრესია ჩვენი წითელი ლაშქრის იდეურ განმტკიცებისათვის და ბრძოლის უნარიანობისათვის, ურომლისოდაც ის ვერ შესძლებს იყოს ღირსეული დარაჯი მშრომელთა ინტერესებისა.

ამ ამოცანას, როგორც ყოველთვის, ეჴს გარეშე შეასრულებს ჩვენი ქართული ჯარის პოლიტიკური განყოფილება. მე ერთ რამეს მინდა შევეხო და მივუთითოთ ლაშქარში მომუშავე ამხანაგებს, სახელდობრ იმაზედ, რასაც წინად ან სულ არ ქონდა მიქცეული ყურადღება, და ან თუ ჰქონდა ისე, ზერელე, სხვათა შორის. ეს ისაა, რომ ყოველმა მოლაშქრემ იცოდეს საბჭოთა მართლმსაჯულების პრინციპები და ამოცანები. მე მაქვს გ. ზ. „წითელ არმიელში“ რამოდენიმე წერილები გაგზავნილი ამ დარგიდან, სადაც არის გადმოცემული სამხედრო ბოროტმოქმედებათა სხვა და სხვა სახეები და მათზედ განსაზღვრული სასჯელი თანახმად ს. ს. კოდექსისა ეს წერილები ალბად იქნება გამოქვეყნებული თანდათანობით ახალ წვეულთა მოსვლისთანავე წითელ ყაზარმებში, მაგრამ ეს არა კმარა, მით უმეტეს, რომ ახალ წვეულების უმრავლესობა, წერა-კითხვის არა მცოდნენი იქნებიან, ამისათვის საჭიროა, რომ ადგილობრივ პოლიტ-მომუშავენი ამუშავდნენ ამ მხრივ, აუხსნან და განუმარტონ ახალ წვეულებს სამხედრო ბოროტმოქმედებათა სახეობა და სასჯელი მათზედ; სახელმძღვანელოდ გამოადგებათ ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის შეძენა არც ისე ძნელია, და სარგებლობა კი ძალიან დიდი ექნება. არავისათვის არ არის დასამალი ის გარემოება, რომ ზოგიერთი სამხედრო ბოროტმომქმედი, დანაშაულის გამომწვევ მიზეზათ სთვლის მას, რომ არ იცოდა კანონი. არის ძველი დახავსებული შეხედულება, თითქოს კანონის არ ცოდნით თავის გამართლება არ შეიძლება, მაგრამ იმდენათ, რამდენათაც ჩვენ ვებრძვით იდეიურად ყველა იმ მიზეზებს რომელნიც იწვევენ დანაშაულს, უნდა ვეცადოთ იმასაც, რომ ყოველმა მოლაშქრემ იცოდეს თუ რა სახით დაისჯება ესა თუ ის დანაშაული, რომ ამით შევასუსტოთ ბოროტმოქმედებათა ჩადენა.

ჩვენ ვიცით, რომ გაცილებით დიდ პროცენტს სამხედრო დანაშაულთა შორის იჭერს დეზერტირობა. რამდენათ საზარალო სენია ეს სახე ბოროტმოქმედებისა, ამის ახსნას ჩვენ არ შევუდგებით, რადგანაც ყოველი პოლიტმომუშავისთვის ჯარში ეს ნათელი უნდა იყოს. აი ამისათვის, ახალ წვეულთა მოსვლისთანავე პირველ რიგში უნდა დავაყენოთ ბრძოლა ამ მავნე სენის თავიდან ასაცილებლად. რა თქმა უნდა კარგია პოლიტიკური თვალსაზრისით ამ საკითხის გაშუქება და წითელი ლაშქრის მნიშვნელობაზედ მაცადინობა მოლაშქრეებთან, მაგრამ ერთბაშად გარდაქმნა ხალხისა, რომელიც ჩვენი მიყრუებელი სოფლებიდან პირველად მოდიან ლაშქარში, იდეურათ მათი ერთბაშად მომზადება არც იმდენათ ადვილი საქმეა, და აი სწორედ ამ მუშაობას უნდა დაუკავშიროთ ისიც, თუ როგორ ისჯება ეს მავნე სენი საბჭოთა მართლმსაჯულების მიერ. „კარანტინში“ ყოფნის დროს უნდა შევეცადოთ, რომ ამ საკითხზედ სადი წარმოდგენა ჰქონდეს ახალ წვეულს, რომ თავიდან ავიცილოთ მომავალი დეზერტირობა. პოლიტიკურ მომუშავეებმა უნდა მიაქციონ სათანადო ყურადღება შემდეგი უმთავრესი საკითხების ახსნა განმარტებას:

1) დეზერტირობა და მასთან ბრძოლა საბჭოთა მართლმსაჯულების მიერ, 2) სახაზინო ქონების მოთვისება და გაფლანგვა, 3) საყარაულო წესდებათა დარღვევა, 4) ბრძანების აუსრულებლობა. აი ის ოთხი საკითხი, რომელნიც თუ სათანადოთ იქნებიან შესწავლილნი ახალწვეულთა მიერ, მომავალში ავვაცილებენ ბოროტმოქმედების შემთხვევებს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება სამხედრო კომისართა საყურადღებოდ: როდესაც შვებულებაში მიდიან მოლაშქრენი, უნდა ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, თუ სად მიდიან ისინი, და მხედველობაში იქნეს მიღებული მანძილი. მაგალითად, არ შეიძლება იმდენი დღით მიეცეს შვებულება იმ მოლაშქრეს, რომელიც სცხოვრობს ქ. ქუთაისში, სადაც მატარებლით მიმოსვლა პირდაპირია, რამდენიც უნდა მიეცეს რაჭა-ლეჩხუმში მცხოვრებს. აი ასეთი რამ ხშირად გვაძლევს ხოლმე დეზერტირობის ელემენტის სახეობას, რადგანაც შვებულებას ხშირად აცილებენ ხოლმე რამოდენიმე დღით მოლაშქრენი, მათდამი დამოუკიდებელ მიზეზთა გამო.

ფხიზლათ ამხანაგებო. ჩვენი მოვალეობა დიდია ახალწვეულთა მომზადების საქმეში, და ეს ვალი ჩვენ ღირსეულათ უნდა შევასრულოთ.

დ. ხიხაძე.

# ბრძანება

## საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის მიმართ.

## № 68.

17 მაისი 1924 წ. ქ. ტფილისი.

ამიერ-კავკასიის ფედ. სოც. საბ. რესპ. ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. 24 აპრილის № 10 დადგენილებისა, საბჭ. სოც. რესპ. კავშირის სამხ. სარევ. საბჭოს ა/წ. № 322 ბრძანებისა, საბჭ. სოც. რესპუბ. კავშირის სამხ. და საზღვაო სახალხო კომისრის ამიერ-კავკ. ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსთან რწმუნებულისა და კავკ. წით. დროშოვ. არმიის მიმართ ა/წ. ბრძანებების №№ 216 და 235 თანახმად, აფხაზეთის და აჭარისტანის სამხედრო კომისრებს და საქ. ს. ს. რ. ყველა სამაზრო სამხედრო კომისრებს **ვუბრძანებ**:

1) გაწვეულ იქნან ჯარში ყველა 1902 წ. დაბადებულნი მოქალაქენი, მცხოვრებნი საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის, აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ტერიტორიებზე.

2) გაწვევა დაიწყოს ა/წ. 25 მაისს და დამთავრდეს ა/წ. 10 ივნისს.

3) გაწვევა მოხდეს საბჭ. სოც. რესპ. კავშირის სამხ. სარევ. საბჭ. ა/წ. № 322 ბრძანების და საქ. ს. ს. რ. შინაგან საქმ. სახალხო კომისრის და ჩემ მიერ დამტკიცებულ დასტურლამის თანახმად და აგრეთვე გაწვევის შესახებ დამატებითი განკარგულების მიხედვით.

4) კენჭის ყრა 1902 წ. დაბადებულთა ჯარში გაწვევისას უნდა სწარმოებდეს რაიონობრივ ე. ი თვითეულ რაიონში ცალ-ცალკე.

5) მოცემულ განწესების თანახმად, სამსახურისათვის ვარგისად ცნობილ მოქალაქეთა ტერიტორიალურ და ძირედ ჯარის ერთეულში (კადრში) დანიშვნა უნდა სწარმოებდეს პროპორციონალურად რაიონის მცხოვრებთა რაოდენობასთან და ამოღებულ კენჭის რიგის მიხედვით; ამასთანავე ძირედ (კადრში) ჯარის ერთეულებში და აგრეთვე ტერიტორიალურ ჯარის ძირედ შემადგენლობისათვის დაინიშნოს ქართული ენის მცოდნე მოქალაქენი, ხოლო ტერიტორიალურ ნაწილებს ცვალებად შემადგენლობისათვის, როგორც ქართული ენის მცოდნენი, ისე არა მცოდნენიც, დანარჩენი კი ჩაირიცხონ არმიის თადარიგში, სამხედრო მომზადების ჯარის ერთეულების გარეშე მისაღებათ წინასწარი დანიშვნით.

6) გადაედვას გაწვევის ვადა 1902 წ. დაბადებულ ყველა სამეცნიერო დარგის მუშაკთ, მოსწავლეთ და მასწავლებელთ, თანახმად გაწვევის ვადის გადამდებ ცენტრალურ კომისიის 1924 წ. 18 თებერვლის დასტურლამისა.

7) მიეცეთ 1902 წ. დაბად. მოქალაქეთ ოჯახის მდგომარეობის მიხედვით შეღავათი საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. 5 მარტის დადგენილებაში აღნიშნულ წესის თანახმად.

8) განთავისუფლებულ იქნას სამხედრო ბეგრისაგან სარწმუნოებრივ მოსაზრებით სექტანტები — ამიერ-კავკ. ს. ს. რ. საკავშირო საბჭოს 1922 წლ. 25 ნოემბრის დეკრეტის და საქ. ს. ს. რ. იუსტიციის სახალხო კომისრის 1924 წლ. 15 იანვრის № 6 საყოველთაო მომართვის თანახმად.

9) 1902 წ. დაბადებული მოქალაქენი, რომელნიც ჩასარიცხი არიან ზურგის მოლაშქრე ჯარში, როგორც მოკლებულნი აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებას, — არ უნდა იქნან მიღებულნი წითელ ჯარში, არამედ თანახმად საბჭ. სოც. რესპ. კავშირის სამხედრო სარევოლიუციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა ა/წ. №№ 2325 და 107847 და რ. მუშ. და გლეხ. წით. არმიის შტაბის უფროსის ა/წ. № 107840 საყოველთაო მომართვებისა, წინასწარ უნდა იქნან დანიშნულნი ზურგის დამხმარე გუნდში; ყველა ზურგის დამხმარე გუნდში ჩარიცხული მოქალაქენი უნდა იქნან აყვანილი საგანგებო აღრიცხვაზე სათანადო განკარგულებამდე.

10) ჯარში გასაწვევ სამხედრო ვალდებულთა საკრებ პუნქტზე უკლებლივ და თავის დროზე გამოცხადების მისაღწევად მიემართოს დახმარებისათვის სამაზრო და სარაიონო აღმასკომებს, სასოფლო საბჭოებს, და მილიციას, რომელნიც ჯარში გაწვევის დასტურლამის თანახმად ვალდებული არიან აღმოუჩინონ ენერგიული დახმარება ზემოაღნიშნულ მიზნის მისაღწევად.

11) მოხსენებები ჯარში გაწვევის მიმდინარეობის შესახებ, ყოველ 5 დღეში, გამოიგზავნოს საქ. ს. ს. რ. სამხედრო კომისარიატში ამასთანავე დართულ ფორმით და შემდეგ ვადებში: ა/წ. 2 ს, 6-ს, და 12 ივნისს.

ჯარში გაწვევის შესახებ ანგარიში წარმოდგენილ იქნას ა/წ. 15 ივნისისათვის ამასთანავე დართულ ფორმით.

12) ყველა ჯარში გაწვევისაგან მორიდებულნი ან საპატიო მიზეზების გარეშე დაგვიანებულნი მიცემულ იქნან პასუხის გებაში საქ. ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლის მიხედვით.

13) ამ ბრძანების ასასრულებლად გამოიცეს სათანადო განკარგულება ჯარში გაწვევის შესახებ.

საქართველოს სოციალისტურ საბ. რესპუბ.
სამხედრო კომისარი **ხუტულაშვილი**.

თანაშემწე **აჭაილიშვილი**.

სწორეა: 1-ლი სამობნაწუფი **ს. უჩანეიშვილი**.

# გარნიზონის ახალი საზაფხულო ბაღი.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენი ჯარების ახალი საზაფხულო ბაღი (ყოფილი „ვეჩერნიზორი“) თბილისში ყველა ბაღებს სჯობიან, როგორც ადგილ-მდებარეობით, ისე მოწყობილობით.

მშვენიერი ბაღი: შადრევნებით, ფანჩატურებით, შესურავუზებული როტონდები, ორკესტრის როტონდა, კინოსთვის სავანგებო დარბაზი, საზ ხოვ ი თეატრი.

ამის გარდა არის სხვა და სხვა კუთხეები: (ცალ-ცალკე შენობებში) სანიტარული, ანატომიური (ჩონჩხებით, სურათებით, მცენარეულობით, რომლითაც იკვებება საქონელი—რომელია მათში სასარგებლო და რომელია მავნებელი, საქონელი, საქონელთა ავადმყოფობათა აღწერანი და მრავალი სხვა), რადიო, მესანგრეთა (ნიმუშებით, როგორიცაა: ხიდები, შენობანი ბრძოლის ველზე და სხვა), საავტომობილო, საავიაციო (ესენიც ნიმუშებით, აქაა ჰაეროპლანი და ყველა საჰაერო საბრძოლო მოწყობილებანი და სხვა).

ყველგან არიან ინსტრუქტორები, რომლებიც უხსნიან წითელ არმიელებს ყველაფრის მნიშვნელობას.

ამ ს გარდა მოწყობილა აქ ბუფეტი, მდიდარი ბიბლიოთეკა (რუსულ წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით) და ლენინის კუთხე“, რომელიც თვალსა სჭრის ყველას თავისი ლამაზი მოწყობით.

წითელ ვარსკვლავში სდგას ლენინის ბიუსტი, თავზე აწერია: „**ლენინი აღარაა, მაგრამ არის ლენინიზმი. როგორ წავალთ წინ?—ლენინიზმის სანათით ხელში. გავიგნებთ კი გზას?—კოლექტიური აზროვნებით, გავიგნებთ პარტიის კოლექტიური ნებით**“.

კუთხეს ამშვენებს როგორც ლენინის ნაწერები, ლოზუნგები, პლაკატები, ისე რევოლიუციის სხვა ბელადთა სურათები და ბიუსტები.

საერთოდ ბაღი დიდებულ შთაბეჭდილებას სტოვებს, მხოლოდ საჭიროა აქ ქართული სახეც მივცეთ; რათა ჩვენს წითელ არმიელებს ტყუილად არ მოუხდეთ აქ სიარული

ხანი.

---

# პარტიული ცხოვრება

18 მაისს შესდგა ქ. მ. დ. სამხ. პოლიტ-სკოლის კომუჯრედის მორიგი კრება. კრებას დაესწრო ყველა უჯრედის წევრები. თავმჯდომარეობდა ამხ. მახარაძე, მდივნობდა ამხ. როდანაია. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1 წასულ კრების ოქმის დამტკიცება 2. კომუჯრედის მუშაობის ანგარიში 3. მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადი 4. სამხედრო და პარტიული დისციპლინა 5. მიმდინარე საკითხები. კომუჯრედის მდივანმა წაიკითხა ოქმი, რაც დამტკიცებული იქნა მეორე საკითხის შესახებ, მოხსენება გააკეთა ამხ. ბალათურიამ კომუჯრედის პასუხის მგებელ მდივანმა, რომელმაც გააცნო კრებას უჯრედის მუშაობა და ანგარიში და მასთან აღნიშნა მუშაობის ის რთული პირობები, რომელშიც უხდებოდა მუშაობა დღიდან ჩვენი სკოლის დაარსებისა და მასთან ვრცლად გააცნო კრებას თუ როგორი დამოკიდებულობა ქონდა სამოქალაქო დაწესებულებებთან. მოხსენების შესახებ იყო შეკითხვები დ აზრთა გაცვლა გამოცვლა, რომელზედაც სათანადო პასუხი გაეცა ამხანაგებს.

კამათის შემდეგ კრებამ სცნო წასული უჯრედის მუშაობა დამაკმაყოფილებლად. შემდეგ ამისა სიტყვას იღებს ამხ. ჰკუასელი, რომელიც მიუთითებს კომუჯრედის დისციპლინას და სხვა მახლობელ სოფლებთან კავშირს. სურამში საავარაკოთ ყოფნის დროს რომელზედაც იქნა სათანადო რეზოლიუცია გამოტანილი: 3-ე საკითხის გარშემო მოხსენებას აკეთებს ამავე სკოლის კურსანტი, მთლიან სასოფლო სამეურნეო გადასახადის მნიშვნელობაზე ამხ. ალავიძე, რომელიც ვრცლათ შეეხო ძველ წეს-წყობილებებს გლეხთა საგადასახადო მნიშვნელობას და როგორ მოაწესრიგა საბჭოთა ხელისუფლებამ უღარიბესი გლეხობის მდგომარეობა და მასთან აღნიშნა ისიც თუ როგორ იბეგრება ჯარში გაწვეული წითელი არმიელის ოჯახი. ამის შემდეგ იქნა გამოტანილი შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინეს რა ამხ. ალავიძის მოხსენება მთლიან სასოფლო სამეურნეო გადასახადის შესახებ ჩვენ ქართ. მსრ. დივიზ. სამხ. პოლიტ-სკოლის კურსანტები ვიზიარებთ მუშათა და გლეხთა მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, რომელიც მიმართულია გლეხის მეურნეობის აღორძინებისაკენ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნატურალურ გადასახადის მაგივრათ ფულით გადასახადის შემოღება, რომლითაც მიეცა საშვალება გლეხს მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

მეოთხე საკითხის—პარტ. დისციპლინის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ჯვარიშეიშვილმა, რომელმაც ვრცლად და დეტალურად გააცნო კრებას პარტიული და სამხედრო დისციპლინა და მასთან ერთად მოიყვანა სხვა და სხვა მაგალითები, რომელზედაც კურსანტების კოლეგია დიდის ენტუზიაზმით შეხვდა, და მასთან აღნიშნა ისიც თუ რა ზიანს მოუტანს ჩვენს პარტიას სამხედრო დისციპლინის აუსრულებლობას და ჩვენს მუშურ-გლეხურ მთავრობას და რა არის მისი საბოლოო მიზანი, რომელზედაც დასძინა, რომ ეს არის მეტის მეტი მძიმე და სერიოზული საქმე, რომელზედაც კურსანტებმა ფიცი დასდვეს, რომ ჩვენ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ვიბრძოლებთ უკანასკნელ სისხლის-წვეთამდე ამხ. ლენინის ნაჩვენები გზით. შემდეგ ამისა, მოხდა კომუჯრედის გადახალისება, რომლის შემდეგაც აირჩიეს პრეზიდიუმში შემდეგი ამხანაგები: ბალათურია, ხუჭუა, თენეიშვილი. კანდიდატებათ—ჰკუასელი და ოსაძე, რის შემდეგ ამხ. ჰკუასელმა მიუთითა მომავალ მუშაობაზე.

კურსანტებმა ტაშისცემით დააჯილდოვეს არჩეული პრეზიდიუმის წევრები.

კრება დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

სამკორი: ლეჟავა.

---

# ახალი ამბები.

— **მისაბაძი მაგალითი.** გორის მაზრის გლეხთა კომიტეტმა, გლეხობისათვის გამოიწერა 100 ცალი გაზეთი „მიწის მუშა“.

— **დიდი სეტყვა გორის მაზრაში.** 19 მაისს გორის მაზრაში მოვიდა დიდი სეტყვა. სეტყვა ქათმის კვერცხის სიმსხო იყო. სეტყვამ უმთავრესად დაზიანა შემდეგი ადგილები: მეტეხი, ქვემო გომი, კავთისხევი, კავთი, აღაიანი და ნიაბი. ზარალის რაოდენობა ჯერ სავსებით არ არის გამორკვეული.

— **სეტყვისაგან დაზღვევა.** წარმოკავშირმა გადასწყვიტა, რომ მიმდინარე წელს სეტყვისაგან ვენახების დაზღვევა აწარმოოს კოოპერაციების საშვალებით, რომელთაც გაეგზავნებათ საჭირო მასალა დაზღვევის წარმოებისათვის. 1924 წ. გამომუშავებულ გეგმაში ნავარაუდევია 4,000 დესიატინა სასოფლო სამეურნეო კულტურის დაზღვევა.

— **მეხილეთა სასოფლო სამეურნეო ამხანაგობები.** გორის მაზრის მეხილეთა ამხანაგობის რაიონული კავშირი „ქართლი“ ამჟამად აკავშირებს შემდეგ მეხილეთა ამხანაგობებს გორის მაზრაში: „რუისი“, „საქაშეთი“, ვარიანი, „დიდი ლიახვი“, „ქვემო ნიგოზი“, „ატამი“ და კარალეთის ამხანაგობებს. ამხანაგობები ამზადებენ დიდ ხილს რუსეთის და საზღვარ გარეთის ბაზრებზე გასაზიდებლად.

— **ბოროტმოქმედებათა რაოდენობა აპრილში.** აპრილის განმავლობაში აღრიცხულია 126 ქურდობა, 11 ჯიბგირობა, 6 მკვლელობა, 2 დაჭრა, 2 გაძარცვა, 4 გამოტყუება, 1 გაუპატიურება, 3 თვითმკვლელობა, 2 მკვლელობის განზრახვა. ამაში არ შედის სისხლის სამართლის მილიციის მიერ აღრიცხული მოქმედებანი.

— **ქალაქის წისქვილები.** აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ ქალაქის წისქვილებისათვის შეიძინა საუკეთესო სისტემის საფქვავები.

— **ცეცხლის გაჩენის მიზეზები.** ცეცხლის მქრობელ ინსპექციის ცნობით ქალაქში გაჩენილი ცეცხლის მიზეზები უმეტეს შემთხვევაში ელექტრონის შეერთებაა, რომლის იზოლიაცია კარგად ვერ არის დაყენებული.

— **გადამდებ სენის წინააღმდეგ** ა. კ. ეკონომიურმა საბჭომ გუდაუთში გადამდებ სენის წინააღმდეგ საბრძოლველად გადასდო 5,000 მ.

— **ფიზ-კულტურისათვის.** ა. კ. ეკონომიურმა საბჭომ საქართველოს ფიზ-კულტურის საბჭოს საჭიროებისათვის გადასცა 5.000 მან.

— **სახ. კონსერვატორია.** მთავარ სახელოვნო კომიტეტის დადგენილებით ამ დღეებში დაიწყება კონსერვატორიის რეორგანიზაცია განზრახულია მისი დაყოფა დაბალ საშუალო და უმაღლეს კლასებათ.

— **ქართული მხატვრობის გამოფენა.** ქართველ მხატვართა საზოგადოების გამგეობამ დაადგინა ივნისის 15-თვის გახსნას ქართული მხატვრობის გამოფენა.

— **რევოლიუციონური შემოქმედების გამოფენა.** მაისის 23-ს სახ. თეატრში საქართ. პროლეტ. მწერალთა თაოსნობით იმართება რევოლიუციონური შემოქმედების საღამო. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი რუსი და სომეხი პროლეტ. პოეტები და მწერლები.

— **ჩათხის ქარხნისათვის.** ა. ს. უმაღლეს ეკონომიურმა საბჭომ ჩათხის ქარხნის საჭიროებისათვის გადასდო 10.000 მან. წინადადებით მიმართა საქართველოს უმაღლ. მეურ. საბჭოს, რომ შემდეგისათვის წარმოადგინოს ხარჯთაღრიცხვა თუ კიდევ რამდენი თანხა დასჭირდება ჩათხის ქარხნის საბოლოოდ დასამთავრებლად.

— **სავალდებულო დადგენილებათა დარღვევა.** შრომის სახ. კომისარიატის და ტფილისის აღმასკომის მიერ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევის აპრილის განმავლობაში აღმოჩენილი ქონდა 300 შემთხვევას.

## ხელოვნება.

— **რეჟისორ ვახტანგ მჭედლიშვილის გარდაცვალება.** მოსკოვში გარდაიცვალა ცნობილი რეჟისორი და მოსკოვის ქართული სტუდიის მთავარი ხელმძღვანელი ვახტანგ მჭედლიშვილი.

---

# სასოფლო მეურნეობა.

## ევკალიპტის ხე.

ევკალიპტი ძლიერ სასარგებლო ხეა. ის კარგათ ხარობს ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეებში.

ევკალიპტის სამშობლოა ავსტრალია, საიდანაც ის გავრცელდა სხვა ქვეყნებში. ამის მიზეზია ის რომ ევკალიპტის ხე მეტად გამოსადეგია თავისი მრავალ მხრივი სარგებლობით. მისგან აკეთებენ სხვა და სხვა ავეჯეულობას, ნავებს, იძლევა კარგ საშენებელ მასალას, ხმარობენ ბოძებათ და სხვა.

ამის გარდა ევკალიპტის ხეს ერთი დიდი და ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეებისთვის ფრიად მნიშვნელოვანი სარგებლობა მოაქვს, როგორც ვიცით ჭაობიან ადგილებში ბლომათ მრავლდება ციების კოღო და ახლო მცხოვრებლებს ასნეულებს ციებით. ამ კოღოების წინააღმდეგ ერთი საუკეთესო საშუალებაა ჭაობების ამოშრობა. ამ საქმეს საუცხოვოთ ასრულებს ევკალიპტის ხე. ის თავის გრძელი და მსხვილი ფესვებით ნიადაგიდან იღებს სინესტეს ფოთლების საშუალებით აორთქლებს მას და ამ რიგათ აშრობს ნიადაგს. მშრალ ადგილებში კი კოღოს გამრავლება უჭირს და ციება კლებულობს. ამის გამო ევკალიპტის ხის გაშენება დიდი ხანია დაიწყეს იმ ქვეყნებში, სადაც ბევრი ჭაობებია და ციებ-ცხელება იცის.

გარდა ამისა თვით ევკალიპტის ფოთლების ნახარში და ზეთი ქინაქინის მაგიერებას სწევს ციებ-ცხელების წინააღმდეგ ევკალიპტის ზეთს ხმარობენ აგრეთვე მრავალ სხვა ავათმყოფობათა წინააღმდეგ. ზოგიერთ ქვეყნებში (მაგ. ესპანეთი) ამ ხეს „ციების ხეს“ უწოდებენ.

ევკალიპტი ყველგან ვერ ხარობს. მისთვის საჭიროა თბილი და ნესტიანი ჰავა. საქართველოში ევკალიპტი გავრცელებულია ჯერ-ჯერობით ბათომის მიდამოებში. ივარგებს აგრეთვე გურია-სამეგრელოში და ქუთაისის მაზრაში. ევკალიპტი ძლიერ სწრაფათ იზრდება. ათი წლის ხეს, ასი წლის მუხის სიმსხო—სიმაღლე აქვს. ოცდა ხუთი წლის აღწევს ოცდა ათ საჟენ სიმაღლეს.

მეურნე.

---

# აირი ღამით და მისი აღმოჩენა.

ნიღაბით ღამით ჩამოცმისათვის დახელოვნება მოითხოვს ვარჯიშს. მომავალ ომში სააირო იერიში ღამით ხშირი იქნება. ამ პირობებში, წინასწარი ვარჯიშით თუ მეომარნი დახელოვნებული არ იქნებიან ნიღაბის ჩამოცმაში, ჩოჩქოლს და მეომართა დაბნევას ადგილი უეჭველად ექნება, ნამეტნავათ ისეთ თხრილებში, რომელთაც ვიწრო გადასავლებში და წვეტიან გამოსული კუთხეები ექნებათ. წარსულ ომში ხშირი ყოფილა შემთხვევა, როდესაც მებრძოლთ გამოუცდელობით რა, დაუწყიათ შფოთვა და ღელვა, არა მარტო თითონ იწამლებოდენ აირით, არამედ საკუთარ ნიღაბის გაშმაგებულ ძებნაში და აირისაგან თავის დასაღწევათ, შეჰქონდათ აურზაური მეზობლებში, ფეხით სთელავდენ მათ, უფუჭებდენ ნიღაბებს და ამ რიგათ ერთიდან ოთხ კაცამდე იწამლებოდა. ყოველ სააირო იერიშს შეაქვს შფოთვა და დაბნევა, და იგი მეტად მნიშვნელოვანი იყო ხოლმე წარსულში, როდესაც ნაღმტყორცნი ღრუბლიან სააირო იერიშს თან სდევდა ერთდროულად შრაპნელისა და მსხვრევი გრანატის სროლა. სროლა გრძელდებოდა 3—4 საათს, მეომართა ძალის დასაფუძნებლად, რათა იგინი იძულებული ყოფილიყვენ მოეხსნათ ნიღაბები და დაზიანებულ ფილტვიდან აირისაგან მოწამლული ხალხის გაყვანისათვის ხელი შეეშალათ.

იმპერიალისტურ ომის განმავლობაში სცდილობდენ გამოეგონათ რაიმე მანქანა აირების აღმოსაჩენათ, როდესაც იგი თხრილებში სახიფათო რაოდენობას აღწევდა. თუმცა ამ გვარი მანქანა მრავლად იყო გამოტანილი, მხოლოდ არც ერთი არ აღმოჩნდა მარტივი მოწყობილებისა, და ბრძოლის ველისათვის სწრაფი და საიმედო მოსახმარებელი. ჩვეულებრივად ყნოსვაზედ ამყარებდენ თავის იმედებს. ამ მიზეზით, ომის ვითარებაში, მეტ ყურადღებას აქცევდენ ყნოსვის ვარჯიშობას, რომლის საშუალებითაც არჩევდენ სხვა და სხვა აირს.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ აირს, იმის და მიხედვით თუ რა საშუალებითაა დამზადებული იგი სხვა და სხვა სუნი აქვს, მაგ. მოკავშირეთა მიერ დამზადებულ ხარდალის აირს ჰქონდა ნივრის სუნი, მაშინ როდესაც გერმანელების ხარდალის აირს—წმინდა ხარდალის სუნი ჰქონდათ. ქიმიურ სამსახურის წითელ არმიელები არა მარტო უნდა არჩევდენ აირებს სუნით, არამედ მათ უნდა იცოდენ ყოველ აირის სახიფათო შეზავების რაოდენობის განსაზღვრა.

გ. ბ—შვილი.